მესამე გამარჯვება მშრალი ანგარიშით

ტაიმის დასაწყისშივე მეკარე რაზუმოვსკი დაძაბულ ბრძოლაში ჩაება. მუდამ საშიში, აგრესიული და მოწინააღმდეგის კარზე იერიშების ორგანიზატორი ბ. პაიჭაძე განსაკუთრებით არასასიამოვნო თავდამსხმელი აღმოჩნდა მოსკოველი მეკარისათვის. მოსკოველებმა იპოვეს დინამოელთა სუსტი ადგილი – ცენტრი და შეტევასაც სწორედ ამ მიმართულებით აწარმოებენ. ფროლოვმა ძალზე ცუდად ჩაატარა მთლი მატჩი. შუამარბი ჟარკოვი ფროლოვის დასაცავ მოედანზე მეტწილად თავისუფლად აწარმოებდა იერიშებს. საერთოდ, სტუმრების თავდამსხმელებმა გამოამჟღავნეს ტემპიანი და კომბინაციური თამაში. რაც შეხება კარში დარტყმას, მათ შესახებ იგივე ითქმის, რაც თბილისის დინამოელებზე.

პირველი ტაიმი დამთავრდა 0:0.

მეორე ტაიმში შეჯიბრებამ მწვავე ხასიათი მიიღო. მოსკოველები უტევენ. პირველსავე წუთში მარცხენა გარემარბი გადის გარღვევაზე. იგი კარისაგან 13 მეტრითაა დაშორებული. ურტყამს ძლიერად. ტყებუჩავამ მოიგერია მკვდარი ბურთი.

მატჩის ბედი გადაწყდა მე–10 წუთზე. უხეში თამაშისათვის სტუმრებს აჯარიმებენ. მარცხენა მხრიდან კარის მოედნის ცენტრში ზუსტად აწვდის გავაშელი, სხარტი ნახტომი წინ. მოულოდნელი თავური გარტყმა, ბერეჟნოის გააქვს გადამწყვეტი ბურთი.

თამაშის დამთავრებას ერთი წუთიღა აკლია. თბილისელები დაჯარიმდნენ კორნერით. კარის წინ მაღალი ბურთისათვის დაძაბული ბრძოლაა. მაშკარკინი ხელით იგერიებს პეხლევანიდსა და ჯორბენაძეს, რის შემდეგ თავური გარტყმით გააქვს ბურთი, მაგრამ მსაჯი შჩელკოვი სამართლიანად არ თვლის ბურთს გატანილად. მას ამ ბურთის გატანამდის ჰქონდა ჯარიმის ნიშანი მიცემული.

ამრიგად **თბილისის დინამოელებმა** 11 მაისს თავიანთ საფეხბურთო მოედანზე მოიგეს მესამე მატჩი **მოსკოვის პროფკავშირთა** ნაკრებთან. ეს თბილისელთა მესამე გამარჯვებაა მატჩების მშრალი ანგარიშით.

ვ. გ–ლია.
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 13 მაისი, 1941 წ.